

---

## სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

წინამდებარე მიმოხილვაში ვაგრძელებთ საქართველოს სასამართლოების მიერ განხილული საქმეების ცალკეული ასპექტის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული შეფასების ანალიზს. მიმოხილვაში დაცულია სასამართლო გადაწყვეტილების ფორმულირების სტილი და ტერმინოლოგია.

### გამოხატვის თავისუფლება

დავით კერესელიძე\*

#### 1. საკანონმდებლო ბაზა

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ადამიანს ანიჭებს „უფლება(ს), თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“, ხოლო მე-2 პუნქტით გარანტირებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება. კანონით აღნიშნული უფლებებისა თუ თავისუფლებების განხორციელების შეზღუდვას კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი უკავშირებს ამომწურავად ჩამოთვლილი გარემოებების არსებობას, მათ შორის „სხვათა უფლებებისა და ღირსების“ დაცვას.

საქართველოს 1997 წლის 28 ოქტომბრის „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლი განამტკიცებს მასობრივი საინფორმაციო საშუალებების თავისუფლებას და, ამასთან, მიუთითებს, რომ „საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, გამოთქვან, გაავრცელონ და დაიცვან თავიანთი თვალსაზრისი ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებით, აგრეთვე მოიპოვონ ინფორმაცია საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრების საკითხებზე“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადება ითვალისწინებს პირის პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისაგან დაცვას და მას სასამართლოს მეშვეობით ასეთი ცნობების უარყოფის მოთხოვნის უფლებას ანიჭებს.

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება მოიცავს პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვას ფაქტობრივი მონაცემების არასრული გამოქვეყნებისას, თუმცა არ ავრცელებს შესაბამის დაცვას, მაგალითად, პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის შემთხვევაზე.

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადება ითვალისწინებს პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვას, როდესაც ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საპასუხო ცნობების გამოქვეყნების უფლებას აძლევს პირს მისი პატივისა და ღირსების შელახვის შემთხვევაში, თუმცა არ ითვალისწინებს შესაბამის უფლებას, მაგალითად, საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში.

---

\* GEPLAC-ის დირექტორის მოადგილე სამართლებრივ საკითხებში.

ამ ფონზე აზრის გამოთქმის თავისუფლებაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ხედვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და საინტერესოდ გვესახება რამდენიმე გადაწყვეტილების განხილვა.

## 2. უზენაესი სასამართლოს ხედვა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 1 მარტის №3კ/1044 გადაწყვეტილებაში<sup>1</sup> სასამართლომ განმარტა, რომ გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების უფლება აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და „ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპის კონვენციის“ მე-10 მუხლებით. კონვენციის მე-10 მუხლი ადგენს, რომ „უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე მოიცავს პიროვნების თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს, გასცეს ინფორმაცია და იდეები...“ ეს პრინციპები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პრესისათვის.

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ოპერატიულად მიიღონ ცნობები სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ პრესამ არ უნდა დაარღვიოს დადგენილი ფარგლები, რომელიც იგულისხმება „სხვისი პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის დაცვის“ ქვეშ, მას ეკისრება არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვალეობა – საზოგადოებას მიაწოდოს იდეები და ინფორმაცია იმ საკითხების ირგვლივ, რომლებიც თამაშდება პოლიტიკურ არენაზე. „პოლიტიკოსების და მათთან გათანაბრებული საზოგადო მოღვაწეების და თანამდებობის პირების შესახებ პრესას შეუძლია ინფორმაციისა და მონაცემების გამოქვეყნება, რასაც მნიშვნელობა აქვს მათი პიროვნების საზოგადოებრივი შეფასებისათვის, რა დროსაც დაიშვება მათი თავისუფალი კრიტიკა, თუ ეს კრიტიკა უხეშად არ ხელყოფს მათ პირად ცხოვრებას“.

ამასთან, საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 18 ივლისის №3კ/376-01 გადაწყვეტილებაში<sup>2</sup> გაკეთებული განმარტება. კერძოდ, იმ საკითხების გაშუქებისას, რაც წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ ინტერესს, „პოლიტიკური და საჯარო სამსახურის მოხელეთა მიერ ერთმანეთის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შეფასებები, ე.ი. „დასაშვები კრიტიკის ფარგლები“, შეიძლება უფრო ფართო იყოს, ვიდრე ჩვეულებრივი ინდივიდის (მოქალაქის) მიმართ. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ „ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპის კონვენციის“ მე-10 მუხლის საფუძველზე საქმეზე – „კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ“ – მიღებულ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებისა და რიგითი მოქალაქეების მიმართ შეურაცხყოფის ფაქტების შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს განსხვავებული სტანდარტები. კერძოდ, განმარტა, რომ „დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე რიგითი მოქალაქეების მიმართ“. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ. ამ შემთხვევაში რეპუტაციის (პატივის, ღირსების) დაცვის ინტერესი წონასწორდება საზოგადოების ინტერესთან – თავისუფლად განიხილოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე“.

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2002, №5, 794.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2001, №10, 1172.

იმავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის მე-18 მულის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული „საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება. პროფესია არის ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება და რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს, ხოლო საქმიანი თვისებები, რომელსაც საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს, გააჩნიათ მათ, ვინც მონაწილეობს ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, საქმიანი რეპუტაციის შელახვა, რასაც სსკ-ის მე-18 მუხლი ითვალისწინებს, მიმართული უნდა იყოს პირის მიერ განხორციელებული (ან განსახორციელებელი) საქმიანი ოპერაციებისათვის. ასეთი ხელყოფით პირს შეიძლება მიადგეს მატერიალური ზიანიც, ე.ი. ხელიდან გაუშვას მოგება, დაეკარგოს კლიენტი და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკური, ასევე საჯარო სამსახურის თანამდებობის პირზე (მოხელეზე) არ უნდა ვაგრძელდეს საქმიანი რეპუტაციის ის გაგება, რასაც სსკ-ის მე-18 მუხლი განამტკიცებს. ამ პირების სამსახურებრივ საქმიანობასთან (მოღვაწეობასთან) დაკავშირებით შესაძლებელია ადგილი ქონდეს დიფამაციას (პატივის ან ღირსების ხელყოფა), მაგრამ არა საქმიანი რეპუტაციის შელახვას“.

დაბოლოს, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 4 ივლისის №3კ/390-02 გადაწყვეტილებაში<sup>3</sup> აღნიშნულია, რომ: „პოლიტიკური თანამდებობის პირისათვის გარდაუვალია და ამგვარი თანამდებობის დაკავება თავისთავად ნიშნავს, რომ მისი ყოველი სიტყვა და მოქმედება იქნება ჟურნალისტთა მუდმივი და დაჟინებული ანალიზისა და კრიტიკის ობიექტი. პოლიტიკოსმა, შესაბამისად, უნდა გამოავლინოს მოთმინების მაღალი დონე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ახორციელებს ისეთ მოქმედებას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მძაფრი კრიტიკა. სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ... რაც უფრო დიდია პოლიტიკური თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე, მის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, მისი მისამართით გამოთქმულ საფუძვლიან კრიტიკას მეტი დატვირთვა აქვს საზოგადოებრივი, სახელმწიფო და თითოეული მოქალაქის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით“.

იმავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ გამოხატა თავისი პოზიცია ჟურნალისტების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, მან განმარტა, რომ: „პოლიტიკური თანამდებობის პირების ქმედებათა მკვეთრი შეფასებები, რომლებიც არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარეობენ, არ შეიძლება იყოს ჟურნალისტის პასუხისმგებლობის საფუძველი“. შესაბამისად, „ჟურნალისტური შეფასებები უნდა წარმოადგენდეს მის ხელთ არსებული ფაქტების ადეკვატურს... გამომხატვის თავისუფლების პრინციპის განხორციელებას ისახავს მიზნად „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის 21-ე მუხლის შესაბამისად, ჟურნალისტი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპებით. ჟურნალისტი ვალდებულია, შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა. ჟურნალისტი პასუხს აგებს თავის წერილზე. მასთან ერთად რედაქციამაც უნდა იკისროს პასუხისმგებლობა, რომ არ გამოქვეყნდეს დაუზუსტებელი, დამახინჯებული ან ისეთი ინფორმაცია, რომელსაც წინასწარი განზრახვით შეცდომაში შეყავს საზოგადოება“.

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2002, №10, 1758.

## 3. კომენტარი

უზენაესი სასამართლოს ხედვის გაანალიზებისას, უპირველეს ყოვლისა, მისასალმებელია ის გარემოება, რომ საქართველოს კონსტიტუციის გვერდით მხედველობაში მიიღება „ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპის კონვენციის“ მე-10 მუხლი და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. უდავოა, რომ ამ გზით სასამართლო უზრუნველყოფს საქართველოს რეალობაში ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას.

ამ მხრივ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდეს და გამოყენებულ იქნეს საქართველოში დამკვიდრებული სამართლებრივი უზუსტობების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, დაუშვებელია, რომ სასამართლო „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონის არაზუსტ ტერმინოლოგიაზე დაყრდნობით საუბრობს „საქართველოს მოქალაქეების“ უფლებაზე – მიიღონ ინფორმაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით. უფლება – „გამოთქვან, გაავრცელონ და დაიცვან თავიანთი თვალსაზრისი ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებით, აგრეთვე მოიპოვონ ინფორმაცია საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრების საკითხებზე“ – წარმოადგენს ადამიანის და არა მოქალაქის უფლებას და, შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებებში ისინი ინდივიდის და არა მოქალაქის უფლებებად თუ თავისუფლებებად უნდა განვიხილოთ.

ასევე შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს იმ პირთა წრე, რომლის მიმართაც სასამართლო აფართოებს „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებს. ისეთი ფრაზების გამოყენება, როგორცაა: „პოლიტიკოსები და მათთან გათანაბრებული საზოგადო მოღვაწეები და თანამდებობის პირები“, „პოლიტიკური და საჯარო სამსახურის მოხელე“ ან „პოლიტიკური თანამდებობის პირები“ უფრო ზუსტად უნდა ჩამოყალიბდეს. იმის ნაცვლად, რომ ბუნდოვანი დარჩეს, თუ ვინ ჩაითვლება მაგ. პოლიტიკოსთან გათანაბრებულ საზოგადო მოღვაწედ და თანამდებობის პირად, მიზანშეწონილი იქნებოდა, აქცენტი, ზოგადად, ვთქვათ, „საზოგადო მოღვაწეზე“ გაკეთებულიყო. ცნება „საზოგადო მოღვაწე“ მოიცავს როგორც პოლიტიკოსს ისე სხვა ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც არსებობს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი. შესაბამისად, მისაღებია ასეთი პირების მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ უფრო ფართო ფარგლების დაწესება.

თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადო მოღვაწეზე (მისი საზოგადოებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე) დაკისრებული ვალდებულება ითმინონ „დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა“ გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს. კერძოდ, უნდა დაკონკრეტდეს, თუ რას ნიშნავს „მეტი კრიტიკა“, რასთან მიმართებაში უნდა იყოს იგი მეტი და როდის ჩაითვლება ეს ზღვარი გადაჭარბებულად.

ამასთან, მისასალმებელია სასამართლოს მიერ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლების მკაფიო შეზღუდვა, კერძოდ: „პრესას შეუძლია ინფორმაციისა და მონაცემების გამოქვეყნება, რასაც მნიშვნელობა აქვს მათი (საზოგადო მოღვაწეთა) პიროვნების საზოგადოებრივი შეფასებისათვის, რა დროსაც დაიშვება მათი თავისუფალი კრიტიკა, თუ ეს კრიტიკა უხეშად არ ხელყოფს მათ პირად ცხოვრებას“. თუმცა ამ შემთხვევაშიც დასაზუსტებელია, თუ რას ნიშნავს პირადი ცხოვრების „უხეშად“ ხელყოფა. „დასაშვები კრიტიკის“ გაფართოებული ფარგლების გათვალისწინებით, ნებისმიერი ხელყოფა უნდა ინვევდეს ხელმყოფის პასუხისმგებლობას, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად უხეშია იგი.

„დასაშვები კრიტიკის“ ფარგლების უფრო მკაფიო განსაზღვრისაკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს ის კრიტერიუმი, რომ, „რაც უფრო დიდია პოლიტიკური თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე, მის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა“.